

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ჯი-თი გრუპ”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში..	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში	19
რისკის მართვა.....	29
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
სასამართლო დავები	34
საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	34
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯი-თი გრუპ“-ის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი გრუპ“-ის (ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯი-თი გრუპ“-ის (შემდგომში - ჯგუფი) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო




შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31დეკემბერი2024	31დეკემბერი2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5	132,647,695	85,579,166
არამატერიალური აქტივები		392,460	408,569
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	6	12,794,695	11,051,342
სულ გრძელვადიანი აქტივები		145,834,849	97,039,077
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	7	176,952,647	120,734,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	38,393,067	38,916,629
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	829,261
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	20,353,913	73,432,838
მისაღები დივიდენდები	10	1,099,549	663,444
სხვა მიმდინარე აქტივები		51,907	23,788
ფული და ფულის ექვივალენტები	11	19,374,255	17,967,978
სულ მიმდინარე აქტივები		256,225,339	252,568,062
სულ აქტივები		402,060,188	349,607,140
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები			
აქციონერთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		400,000	400,000
გაუნაწილებელი მოგება		268,133,678	221,497,268
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი		60,778,973	16,621,786
სულ აქციონერთა კაპიტალი		329,312,651	238,519,055
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12	4,601,146	29,105,302
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,601,146	29,105,302
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13	4,803,178	11,329,783
მიღებული ავანსები	14	45,448,117	58,936,585
გადასახდელი ხელფასები		1,997,324	1,341,174
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		69,240	62,781
მოკლევადიანი სესხები	12	15,066,104	10,312,460
საგადასახადო ვალდებულებები		762,428	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		68,146,392	81,982,783
სულ ვალდებულებები		72,747,537	111,088,086
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		402,060,188	349,607,140


დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	31დეკემბერი2024	31დეკემბერი2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5	132,647,695	85,579,166
არამატერიალური აქტივები		392,460	408,569
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	6	12,794,695	11,051,342
სულ გრძელვადიანი აქტივები		145,834,849	97,039,077
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	7	176,952,647	120,734,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	38,393,067	38,916,629
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	829,261
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	20,353,913	73,432,838
მისაღები დივიდენდები	10	1,099,549	663,444
სხვა მიმდინარე აქტივები		51,907	23,788
ფული და ფულის ექვივალენტები	11	19,374,255	17,967,978
სულ მიმდინარე აქტივები		256,225,339	252,568,062
სულ აქტივები		402,060,188	349,607,140
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები			
აქციონერთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		400,000	400,000
გაუნაწილებელი მოგება		268,133,678	221,497,268
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი		60,778,973	16,621,786
სულ აქციონერთა კაპიტალი		329,312,651	238,519,055
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	12	4,601,146	29,105,302
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,601,146	29,105,302
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13	4,803,178	11,329,783
მიღებული ავანსები	14	45,448,117	58,936,585
გადასახდელი ხელფასები		1,997,324	1,341,174
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		69,240	62,781
მოკლევადიანი სესხები	12	15,066,104	10,312,460
საგადასახადო ვალდებულებები		762,428	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		68,146,392	81,982,783
სულ ვალდებულებები		72,747,537	111,088,086
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		402,060,188	349,607,140



დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	15	587,723,627	467,730,690
რსო	16	(443,203,699)	(348,496,642)
მთლიანი მოგება		144,519,929	119,234,048
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	17	(25,231,576)	(19,824,066)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(15,652,883)	(11,960,916)
საპროცენტო შემოსავლები	19	1,910,359	2,173,569
საპროცენტო ხარჯები		(4,494,955)	(5,748,360)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	20	(1,687,388)	(1,858,343)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	21	1,465,801	3,981,690
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(1,491,476)	(245,940)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი		9,743,353	11,679,347
მოგება გადასახადამდე		109,081,165	97,431,029
მოგების გადასახადი		(25,967)	(28,597)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		109,055,197	97,402,431
წლის მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
წლის მოგება		109,055,197	97,402,431
სხვა სრული შემოსავალი		44,877,262	-
სულ წლის სრული შემოსავალი		153,932,460	97,402,431
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		153,932,460	97,402,431
სულ წლის სრული შემოსავალი		153,932,460	97,402,431


დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი გრუპი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	15	587,723,627	467,730,690
რსო	16	(443,203,699)	(348,496,642)
მთლიანი მოგება		144,519,929	119,234,048
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	17	(25,231,576)	(19,824,066)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(15,652,883)	(11,960,916)
საპროცენტო შემოსავლები	19	1,910,359	2,173,569
საპროცენტო ხარჯები		(4,494,955)	(5,748,360)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	20	(1,687,388)	(1,858,343)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	21	1,465,801	3,981,690
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	(1,491,476)	(245,940)
ასოცირებული კომპანიების ზარალის/მოგების წილი		9,743,353	11,679,347
მოგება გადასახადამდე		109,081,165	97,431,029
მოგების გადასახადი		(25,967)	(28,597)
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		109,055,197	97,402,431
წლის მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
წლის მოგება		109,055,197	97,402,431
სხვა სრული შემოსავალი		44,877,262	-
სულ წლის სრული შემოსავალი		153,932,460	97,402,431
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		153,932,460	97,402,431
სულ წლის სრული შემოსავალი		153,932,460	97,402,431


დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	400,000	160,506,421	17,338,027	178,244,447
სულ წლის სრული შემოსავალი		97,402,431	-	97,402,431
გადახდილი დივიდენდები		(36,411,584)	-	(36,411,584)
ცვეთით რეზერვის კორექტირება			(716,239)	(716,239)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	400,000	221,497,268	16,621,786	238,519,055
სულ წლის სრული შემოსავალი		109,055,197	44,877,262	153,932,460
გადახდილი დივიდენდები		(62,418,787)	-	(62,418,787)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		-	(720,076)	(720,076)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	400,000	268,133,678	60,778,973	329,312,651


დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	400,000	160,506,421	17,338,027	178,244,447
სულ წლის სრული შემოსავალი		97,402,431	-	97,402,431
გადახდილი დივიდენდები		(36,411,584)	-	(36,411,584)
ცვეთით რეზერვის კორექტირება			(716,239)	(716,239)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	400,000	221,497,268	16,621,786	238,519,055
სულ წლის სრული შემოსავალი		109,055,197	44,877,262	153,932,460
გადახდილი დივიდენდები		(62,418,787)	-	(62,418,787)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		-	(720,076)	(720,076)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	400,000	268,133,678	60,778,973	329,312,651



დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე	109,081,165	97,431,029
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(25,967)	(28,597)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,552,349	2,968,098
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(298,463)	(152,321)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	191,305	125,764
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1,687,388	1,860,122
დივიდენდიდან შემოსავალი	(45,065,980)	(10,500,000)
ასოცირებული კომპანიის ზარალი/მოგების წილი	(1,743,353)	(1,179,347)
ფინანსური შემოსავალი	(348,447)	(865,425)
ფინანსური ხარჯი	4,494,955	5,795,448
სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	71,524,952	95,454,770
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	20,105,396	(40,811,464)
მარაგების ზრდა/კლება	(56,217,033)	(49,162,453)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა/კლება	33,716,431	(20,782,394)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/კლება	151,148	(85,725)
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა/კლება	(34,900)	180,610
მიღებული ავანსების ზრდა/კლება	(7,398,099)	29,988,457
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/კლება	243,368	324,295
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/კლება	1,002,247	(820,089)
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)	(12,925,335)	6,633,432
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	50,168,175	20,919,439
მიღებული პროცენტი	348,447	865,425
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	(18,145)	(47,277)
გადახდილი პროცენტი	(4,580,436)	(5,539,684)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	45,918,042	16,197,903
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	(494,794)	-
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(7,497,169)	(11,207,517)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	2,028,770	2,521,729
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(43,988)	(19,680)
მიღებული დივიდენდები	44,629,875	10,316,160
წმინდა ფულადი სახსრების გაღინება საინვესტიციო საქმიანობიდან	38,622,695	1,610,693
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები სესხებიდან	25,616,541	63,651,922
ნასესხები სახსრების დაფარვა	(44,974,624)	(55,819,012)
გაცემული დივიდენდები	(62,418,787)	(36,411,584)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(352,086)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(82,128,957)	(28,578,675)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	2,411,779	(10,770,079)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	(1,005,503)	(1,027,023)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	17,967,978	29,765,081
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	19,374,255	17,967,978

დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე	109,081,165	97,431,029
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(25,967)	(28,597)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,552,349	2,968,098
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(298,463)	(152,321)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	191,305	125,764
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1,687,388	1,860,122
დივიდენდიდან შემოსავალი	(45,065,980)	(10,500,000)
ასოცირებული კომპანიის ზარალი/მოგების წილი	(1,743,353)	(1,179,347)
ფინანსური შემოსავალი	(348,447)	(865,425)
ფინანსური ხარჯი	4,494,955	5,795,448
სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	71,524,952	95,454,770
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	20,105,396	(40,811,464)
მარაგების ზრდა/კლება	(56,217,033)	(49,162,453)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა/კლება	33,716,431	(20,782,394)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/კლება	151,148	(85,725)
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა/კლება	(34,900)	180,610
მიღებული ავანსების ზრდა/კლება	(7,398,099)	29,988,457
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/კლება	243,368	324,295
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/კლება	1,002,247	(820,089)
სავაჭრო და სხვა გადასახდელების ზრდა/(კლება)	(12,925,335)	6,633,432
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	50,168,175	20,919,439
მიღებული პროცენტი	348,447	865,425
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	(18,145)	(47,277)
გადახდილი პროცენტი	(4,580,436)	(5,539,684)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	45,918,042	16,197,903
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	(494,794)	-
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(7,497,169)	(11,207,517)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	2,028,770	2,521,729
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(43,988)	(19,680)
მიღებული დივიდენდები	44,629,875	10,316,160
წმინდა ფულადი სახსრების გაღინება საინვესტიციო საქმიანობიდან	38,622,695	1,610,693
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები სესხებიდან	25,616,541	63,651,922
ნასესხები სახსრების დაფარვა	(44,974,624)	(55,819,012)
გაცემული დივიდენდები	(62,418,787)	(36,411,584)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(352,086)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(82,128,957)	(28,578,675)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	2,411,779	(10,770,079)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში	(1,005,503)	(1,027,023)
ფლობილი ფულის ნაშთზე		
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	17,967,978	29,765,081
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	19,374,255	17,967,978

დირექტორი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს ჯი-თი გრუპ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2005 წლის 17 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები იყვნენ გიორგი თავდიშვილი (3/წ 61001002615) 33%-იანი წილით, გიორგი გველესიანი (3/წ 61001004135) 34%-იანი წილით და თემურ უსტიაშვილი (3/წ 61001007309) 33%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სატვირთო და სასოფლო-სამეურნეო ავტომანქანებით, ავტონაწილებით და საავტომობილო ზეთებით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, აღმაშენებლის ხეივანი # 216, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2024 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2023 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	ყიდვის/დაარსე ბის წელი	ინდუსტრია
ჯი-თი მოტორს	100%	100%	2007	ავტო მანქანების იმპორტი და ვაჭრობა, ასევე ავტო მანქანებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.
ვერტექს ჯგუფი	45%	45%	2015	უძრავი ქონების რეალიზაცია
ჯი-თი ფუდი	100%	100%	2010	კვების ინდუსტრია
ჯი-თი აგრო	30%	30%	2011	აგრო ინდუსტრია
ჯი თი ეარ	100%	100%	2010	სხვადასხვა
ეკომედიკა	100%	100%	2010	სხვადასხვა
შპს ASEMAN	100%	100%	2024	უძრავი ქონების ფლობა/განკარგვა

ევროპროდუქტი	50%	50%	2010	საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით
კოლხი ჯგუფი	100%	100%	2010	სამშენებლო მასალებით ვაჭრობა.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებული იყო საშუალოდ 1250 თანამშრომელი.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ კომპანია საქართველოში. როგორც 22-ე შენიშვნაშია მოცემული, ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - „კოვიდ 19“-ის გავლენა საწარმოს ფუნქციონირებაზე: საქართველოს მთავრობის 297-ე დადგენილების თანახმად კომპანიას მიეცა შეზღუდული მუშაობის უფლება, ძირითადი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში და სრულად განაახლა საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, კომპანიის საქმიანობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება/ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 გირვანქა სტერლინგი	3.5349	3.4228
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის

სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც *კომპანიამ* გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება ან/და მიაწოდა საქონელი, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება და მისი ნაშთის არ არსებობა შესაძლოა გახდეს მიწოდების შეზღუდვის საფუძველი. *კომპანიის* მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული უბრუნავი მარაგების ანალიზს და მის დარეზერვებას.

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადით შემცირებულია იმ წლის გაუნაწილებელი მოგება, რომელშიც მოხდა დივიდენდების გაცემა. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები აღიარებულია შესაბამისი პერიოდის ხარჯად.

2024 და 2023 წლების გაუნაწილებელი მოგება შემცირებულია შესაბამის წლებში გაცემულ დივიდენდებზე გადახდილი მოგების გადასახადით რომელმაც 2024 წელს შეადგინა 9,362,818 ლარი ხოლო 2023 წელს 5 461 737 ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც *კომპანიას* გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც *კომპანიას* აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ინვესტიციები ასოცირებულ პირებში

ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც *კომპანიას* აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლებების 20-50 პროცენტის ფლობას.

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ პირებში აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ამ გაუფასურების

ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ფლობილი მიწა და შენობა-ნაგებობები ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც არის გადაფასების დღეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება ისეთი სიხშირით, რომლის შედეგად, საბალანსო ღირებულება დაახლოებით იმ ღირებულების ტოლია, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოშობილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაფასებით მიღებული ზრდა უკუგებას უკეთებს იმ ზარალს, რომელიც მანამდე გადაფასების შედეგად მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ამ შემთხვევაში ზრდა აღიარდება მოგება-ზარალში როგორც შემოსავალი იმ თანხის ოდენობით, რა თანხაც მანამდე მოგება-ზარალში როგორც ზარალი ისე იყო აღიარებული. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი შემცირება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხით, რა თანხითაც ის აჭარბებს ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის ნაშთს.

სხვა ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. გადაფასებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში. სხვა ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობები	20 – 25
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
სპეციალური ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5 – 10
მანქანა-დანადგარები	5 – 10
გაყიდვებისა საწარმოო განყ. აღჭურვილობა	5 – 10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 – 10
სხვა	5 – 10

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აქტივების შესამენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

საწარმო იყენებს ფასს 15 სტანდარტის მოთხოვნებს: შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას,

კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ.

ნებისმიერი ცვლილება ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები:

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- **შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში** (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია**, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- **ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები** (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფისა და კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები:

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- **შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა** (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები** (გამოქვეყნდა 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს, IASB-მ გამოსცა IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები, რათა:

(ა) დაზუსტდეს ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით დაფარული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების ახალი გამონაკლისით;

(ბ) დაზუსტდეს და დაემატოს დამატებითი ინსტრუქციები იმის შესაფასებლად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაემატოს ახალი გამჟღავნებები გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ

სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადები (მაგალითად, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის მახასიათებლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მიღწევასთან); და
(დ) განახლდეს გამჟღავნებები სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის (FVOCI) მეშვეობით სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული სააქციო ინსტრუმენტებისთვის.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებებს მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- **IFRS 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** 2024 წლის აპრილში, IASB-მ გამოსცა IFRS 18, ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენისა და გამჟღავნების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. IFRS 18-ში წარმოდგენილი ძირითადი ახალი კონცეფციები ეხება:

- მოგების ან ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;

- ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის გარკვეული მაჩვენებლების სავალდებულო გამჟღავნებას, რომლებიც ანგარიშგებულია ერთეულის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები); და

- აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაუმჯობესებულ პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და შენიშვნებზე ზოგადად. IFRS 18 ჩაანაცვლებს IAS 1-ს; IAS 1-ში არსებული სხვა მრავალი პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით.

IFRS 18 გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში პუნქტების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ შესაძლოა შეცვალოს ის, რასაც ერთეული ასახავს, როგორც მის „ოპერაციულ მოგებას ან ზარალს“. IFRS 18 გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშგო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შედარებით ინფორმაციაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- **IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულებების გარეშე: გამჟღავნებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **IFRS 14, მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები (გამოქვეყნდა 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).**
- **IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვრიდან).**

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 5 - ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სპეციალური ინვენტარი და მოწყობილობები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა და მოწყობილობ ები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილ ობა	სატრანსპორტო საშუალებები	გაყიდვის ა და საწარმოო განყოფილ ების აღჭურვილ ობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	38,618,298	1,417	37,521,567	3,496,854	1,832,368	867,824	1,606,241	5,005,823	2,416,543	545,948	683,842	92,596,726
დამატება	2,127,693		902,185	381,883	128,369	110,883	1,028,366	5,622,587	380,316	129,346	95,700	10,907,328
ძირითადი საშუალებების რეკლასი	-	-	-	(4,930)	219,127	(186,963)	88,534	-	(1,462,504)	(1,141)	1,347,878	-
გასვლა	-	-	-	(6,309)	(3,791)	(4,203)	(94,190)	(2,986,324)	-	(101,640)	(31,090)	(3,227,547)
კაპიტალიზაცია	-	161,168	12,140	-	-	-	-	-	-	126,881	-	300,189
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	40,745,991	162,585	38,435,891	3,867,498	2,176,072	787,541	2,628,951	7,642,087	1,334,355	699,394	2,096,330	100,576,695
დამატება	3,027,437	90,305	12,464	210,154	81,096	52,480	453,113	2,681,316	121,062	27,689	314,491	7,071,606
გასვლა	-	-	(168,258)	(22,739)	(78,924)	(2,028)	(36,414)	(2,060,986)	(6,823)	-	(16,505)	(2,392,676)
კაპიტალიზაცია	-	745,751	82,566	-	-	-	-	2,157	-	89,883	-	920,357
ძირითადი საშუალებების რეკლასი 2024	48,906,451	-	(7,652,645)	-	-	-	-	-	-	-	-	41,253,806
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	92,679,879	998,641	30,710,017	4,054,914	2,178,245	837,992	3,045,650	8,264,573	1,448,595	816,967	2,394,316	147,429,788
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	-	(4,991,160)	(1,585,716)	(989,784)	(550,204)	(943,518)	(1,342,791)	(1,024,022)	(169,025)	(513,625)	(12,109,845)
წლის დარიცხვა	-	-	(791,229)	(331,122)	(137,290)	(32,960)	(146,083)	(835,605)	(298,583)	(82,026)	(249,080)	(2,903,978)
გასულის ცვეთა (შემცირება)	-	-	-	5,181	317	2,068	77,008	601,531	-	20,903	25,525	732,533
გადაფასებულის ცვეთა/ელიმინირება	-	-	(716,239)	-	-	-	-	-	-	-	-	(716,239)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	-	(6,498,629)	(1,911,657)	(1,126,757)	(581,096)	(1,012,593)	(1,576,865)	(1,322,605)	(230,148)	(737,181)	(14,997,529)
წლის დარიცხვა	-	-	(822,500)	(338,540)	(224,272)	(42,512)	(368,310)	(1,062,704)	(31,797)	(77,828)	(249,266)	(3,217,730)
გასულის ცვეთა (შემცირება)	-	-	33,045	18,477	72,676	1,405	12,242	323,640	-	-	12,990	474,475
გადაფასებულის ცვეთა/ელიმინირება	-	-	2,958,691	-	-	-	-	-	-	-	-	2,958,691
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	-	-	(4,329,393)	(2,231,720)	(1,278,353)	(622,203)	(1,368,661)	(2,315,929)	(1,354,401)	(307,976)	(973,457)	(14,782,093)
წმინდა საბალანსო ღირებულებები												
2022 წლის 31 დეკემბერი	38,618,298	1,417	32,530,407	1,911,139	842,584	317,620	662,723	3,663,032	1,392,521	376,923	170,217	80,486,880
2023 წლის 31 დეკემბერი	40,745,991	162,585	31,937,262	1,955,842	1,049,316	206,445	1,616,359	6,065,222	11,751	469,246	1,359,149	85,579,166
2024 წლის 31 დეკემბერი	92,679,879	998,641	26,380,624	1,823,194	899,891	215,790	1,676,990	5,948,644	94,193	508,991	1,420,859	132,647,695

ჯგუფის მიწა და შენობა-ნაგებობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ჯგუფი გადაფასების მეთოდს იყენებს 2017 წლის 1 იანვრიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირებული ღირებულების შეფასება განხორციელდა შპს კოლიერს ჯორჯიას მიერ 2024 წლის 31 დეკემბერს.

ჯგუფს განხორციელებული აქვს მხოლოდ მიწის და შენობა-ნაგებობების გადაფასება, რომელთა რეალური ღირებულება ბასს 16 სტანდარტის მიხედვით გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დანარჩენი ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით. რაც შეეხება გადაფასებული ჯგუფების თვითღირებულების მოდელით ასახვას მოცემულია ქვემოთ, ხოლო გადაფასების რეზერვის ნაშთის განაწილებაზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს.

ჯგუფის მიერ ფლობილი შენობა ნაგებობები და მიწა ისტორიული ღირებულებით რომ ასახულიყო მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწა და შენობა-ნაგებობები	58,281,530	56,061,466

შენიშვნა 6 - ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში

ჯგუფის ასოცირებული კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში შეადგენს:

31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
შვილობილების დასახელება	საქმიანობა	საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა და მართვაზე კონტროლი (კი/არა)		საბალანსო ღირებულება	წილობრივი მონაწილეობა და მართვაზე კონტროლი (კი/არა)	
	საკვები პროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა	12,794,695	50%	არა	11,051,342	50%	არა
ვეროპროდუქტი							

შენიშვნა 7 - მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სატვირთო ტექნიკა	32,921,970	15,186,927
სასოფლო ტექნიკა	10,317,692	9,925,719

შპს ჯი-თი გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სარეკლამო მასალები	83,183	85,675
მსუბუქი ავტომანქანები	91,048,146	59,066,956
მიკროავტობუსები და სპეც. ტექნიკა	7,757,818	7,066,000
სათადარიგო ნაწილები	25,834,499	19,270,376
ზეთები და საცხებ საპოხი მასალები	2,940,023	3,030,297
ნედლეული და მასალები	472,883	425,864
სარეალიზაციო სამშენებლო მასალები	4,161,519	3,909,336
ღვინის დამხმარე მასალები და დანადგარები	761,790	608,468
დაუმთავრებელი წარმოება	9,062	1,820,424
სხვა	644,062	338,083
სულ	176,952,647	120,734,124

შენიშვნა 8 - სავაჭრო მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	38,394,687	39,107,091
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	298,547	58,297
ანარიცხები დებიტორული მოთხოვნებიდან	(300,167)	(248,758)
სულ	38,393,067	38,916,629

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

(ლარი)	2024	2023
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	248,758	422,250
დარიცხული გაუფასურება	60,123	248,758
გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში	(8,714)	(422,250)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	300,167	248,758

სავაჭრო მოთხოვნების კლასიფიკაცია ვადიანობის მიხედვით შემდეგნაირია:

31 დეკემბერი 2024	0-3 თვემდე	3-12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	9,054,076	29,338,991	300,167	38,693,234
დეფოლტისას, სულ	-	-	(300,167)	(300,167)
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	(300,167)	(300,167)
სულ				38,393,067
31 დეკემბერი 2023	0-3 თვემდე	3-12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	20,157,839	18,758,790	248,758	39,165,388
დეფოლტისას, სულ	-	-	(248,758)	(248,758)
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	(248,758)	(248,758)
სულ				38,916,629

შენიშვნა 9 - გადახდილი ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მომწოდებელზე გადახდილი ავანსები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	20,353,913	73,432,838
სულ	20,353,913	73,432,838

შენიშვნა 10 - მისაღები დივიდენდები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მისაღები დივიდენდები - შპს ევროპროდუქტი	1,099,549	663,444
სულ	1,099,549	663,444

შენიშვნა 11 - ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ლარში	82,514	165,887
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	858,408	15,237,864
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	18,805,123	2,918,193
საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების დეფოლტი	(376,660)	(363,338)
საგარანტიო თანხების დეპონირება ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	4872	9374
სულ	19,374,255	17,967,978

დეფოლტის ალბათობის დასადგენად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში თანხები განთავსებულია საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშებზე და რეიტინგებიდან გამომდინარე საწარმო ახორციელებს 2% იან მსზ-ის შექმნას, რაც დეტალურად წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში:

შენიშვნა 12 - სასესხო ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, სასესხო ვალდებულებები შედგება:

შპს ჯი-თი გრუპი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31-დეკემბერი 2024	31-დეკემბერი 2023
საქართველოს ბანკი 43 300 000 GEL	GEL	11.50%	14,600,000	25,400,000
საქართველოს ბანკი 1 000 000 EUR	EUR	7.50%	-	2,231,475
საქართველოს ბანკი 2 000 000 USD	USD	8.50%	1,607,062	-
საქართველოს ბანკი 25 000 000 GEL	GEL	12.50%	-	7,862,000
სს თიბისი ბანკი	EUR	6.76%	3,348,581	-
დარიცხული და გადასახდელი პროცენტები	GEL		111,607	218,985
სს თიბისი ბანკი # 7837277-12072945 EUR	EUR	8.60%	-	3,705,302
სულ ნასესხები სახსრები			19,667,250	39,417,762

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31-დეკემბერი 2023	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31- დეკემბერი 2024
აღებული სესხები ჯიტი გრუპი	35,712,460	(19,108,036)	(107,340)	(178,415)	16,318,669
აღებული სესხები ჯიტი მოტორსი	-	55,708	-	(55,708)	-
აღებული სესხები კოლხი ჯამი	3,705,302	(305,754)	4,125	(55,092)	3,348,581
	39,417,762	(19,358,082)	(103,215)	(289,215)	19,667,250

	31-დეკემბერი 2022	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31- დეკემბერი 2023
აღებული სესხები ჯიტი გრუპი	20,006,849	15,371,236	212,136	122,239	35,712,461
აღებული სესხები ჯიტი მოტორსი	7,387,844	(7,365,556)	(3,693)	(18,595)	-
აღებული სესხები კოლხი ჯამი	3,878,072	(172,770)	-	-	3,705,302
	31,272,765	7,832,910	208,443	103,644	39,417,762

სესხების კლასიფიკაცია მათი დაფარვის ვადების მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთ თვემდე	31,242	-
ერთიდან სამ თვემდე	14,769,307	218,985
სამიდან თორმეტ თვემდე	265,556	10,093,475
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი	15,066,104	10,312,460
ერთიდან ხუთ წლამდე	4,601,145	25,400,000
ხუთ წელზე მეტი	-	3,705,302
სულ გრძელვადიანი სესხები	4,601,146	29,105,302

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,803,178	11,329,783
სულ	4,803,178	11,329,783

შენიშვნა 14 - მიღებული ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მიღებული ავანსები შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები მიღებული ავანსებიდან	45,448,117	58,936,585
სულ	45,448,117	58,936,585

შენიშვნა 15- შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის შემოსავალი მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავლები ზეთის და საცხებ-საპოხი საშუალებების რეალიზაციიდან	14,954,991	15,727,935
შემოსავლები ავტოტექნიკის რეალიზაციიდან	137,585,604	90,134,152
შემოსავლები სასოფლო და სამშენებლო ტექნიკის რეალიზაციიდან	39,112,799	24,610,410
შემოსავლები ავტონაწილების რეალიზაციიდან	30,496,314	28,173,448
ურნების რეალიზაციიდან შემოსავალი	8,865,732	3,080,805
სხვა მარაგების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	3,333,857	742,687
შემოსავალი მომსახურებიდან	15,750,037	12,423,913
შემოსავლები იჯარიდან	114,540	46,831
სხვა შემოსავლები	124,430	160,613
შემოსავალი მსუბუქი ავტომანქანების რეალიზაციიდან	252,625,857	240,822,650
შემოსავალი მიკროავტობუსების რეალიზაციიდან	73,262,906	38,697,208
შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან	3,981,329	6,664,094
შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან	7,515,233	6,445,944
სულ	587,723,627	467,730,690

შენიშვნა 16 - რეალიზაციის თვითღირებულება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
რეალიზებული ზეთისა და საცხებ-საპოხი მასალის თვითღირებულება	9,835,093	9,141,575
რეალიზებული ავტოტექნიკის თვითღირებულება	102,838,485	70,097,678
რეალიზებული სასოფლო და სამშენებლო ტექნიკის თვითღირებულება	33,426,891	20,139,372
რეალიზებული ავტონაწილების თვითღირებულება	18,428,394	17,606,690
რეალიზებული სხვა მარაგების თვითღირებულება	2,615,380	488,871
რეალიზებული ურნების ღირებულება	3,846,197	1,305,196
მომსახურებისთვის გახარჯული მარაგების თვითღირებულება	10,564,928	8,740,520
რეალიზებული მსუბუქი ავტომანქანების თვითღირებულება	199,224,568	183,157,793
რეალიზებული მიკროავტობუსების თვითღირებულება	55,328,809	30,088,756
საგარანტიო მომსახურების მასალების თვითღირებულება	2,817,868	4,005,941
რეალიზებული სამშენებლო მასალების თვითღირებულება	4,277,085	3,724,250
სულ	443,203,699	348,496,642

შენიშვნა 17 - მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
რეკლამის ხარჯები	2,153,128	1,144,284
სათადარიგო ნაწილების კატალოგების ონლაინ მომსახურება	133,103	139,478
ცვეთა და ამორტიზაცია	3,218,669	2,981,097
ავტომანქანის გადაფორმების ხარჯი	559,442	546,708
საგადასახადო ხარჯი	2,297,225	2,080,030
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	224,754	474,112
საწვავის და საპოხი მასალების ხარჯი	76,713	105,658
საიჯარო ქირა	384,422	249,945
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	9,230,356	6,471,782
სარემონტო სამუშაოების ხარჯი	123,223	180,731
მიწოდების დამხმარე მასალების ხარჯი	427,944	499,874
ტრენინგებისა და მივლინების ხარჯი	1,222,583	959,883
წარმომადგენლობითი ხარჯები	688,561	898,644
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	931,069	432,522
დაცვის ხარჯი	681,871	326,697
დაზღვევის ხარჯი	440,276	394,981
კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	1,359,740	1,295,055
საშუამავლო ხარჯი	344,960	70,180
პროექტირების ხარჯები	38,398	9,646
ნარჩენების გატანის ხარჯი	170,623	108,745
სპეც ალჭურვილობის ხარჯი	50,300	-
მიწოდების სხვა ხარჯები	474,215	454,015
სულ	25,231,576	19,824,066

შენიშვნა 18- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება	13,873,393	10,301,049
საკანცელარიო ხარჯი	13,039	15,516
ოფისის ავტომაქნების საექსპლოატაციო ხარჯი	90,287	78,214
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	169,667	92,818
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	286,000	334,793
კომუნიკაციის ხარჯები	107,499	92,354
კომუნალური ხარჯი	21,488	20,797
საიჯარო ქირა	107,212	49,397
დაცვის ხარჯი	31,714	25,932
საკონსულტაციო ხარჯები	453,373	294,043
მივლინების ხარჯი	31,661	55,560
საგადასახადო ხარჯები	19,000	11,576
დაზღვევის ხარჯი	26,745	21,981
საბანკო ხარჯები	274,034	232,673
სამეურნეო ხარჯი	12,593	8,075
რემონტის ხარჯი	25,791	163,304
სხვა ხარჯები	109,386	162,832
სულ	15,652,883	11,960,916

შენიშვნა 19 - საპროცენტო შემოსავალი

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საპროცენტო შემოსავლები თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან	1,007,398	304,118
საპროცენტო შემოსავლები საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშიდან	902,961	1,869,451
სულ	1,910,359	2,173,569

შენიშვნა 20 - ფინანსური ხარჯი, წმინდა

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	208,130,326	96,974,977
კონვერტაციის ხარჯი	(913,971)	(1,123,563)
ზარალი სავალუტო კურსთაშორის სხვაობიდან	(208,903,744)	(97,709,757)
სულ	(1,687,388)	(1,858,343)

შენიშვნა 21- სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი წმინდა

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსებიდან	1,465,801	3,981,690
სულ	1,465,801	3,981,690

შენიშვნა 22 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
საექვო მოთხოვნების /სხვა ანარიცხების ხარჯი	(253,805)	96,779
ფულის დეფოლტის ხარჯი	(214,321)	287,137
ამორტიზებული შენობა-ნაგებობის ჩამოწერა	(110,453)	-00
ჯარიმა	(246,799)	(12,566)
სმფ-ის გაუფასურების ხარჯი	(965,219)	(120,654)
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან ან და ჩამოწერიდან	306,939	2,720
მიღებული მოგება/ზარალი		
დარიცხული პირგასამტეხლო/ჯარიმა	(35,561)	(373,756)
შემოსავალი სპონსორობიდან	110,169	33,821
შემოსავალი სადაზღვევო შემთხვევებიდან	550,663	442,904
შემოსავალი ზიანის ანაზღაურებიდან	95,425	176,758
შემოსავალი საქონლის ზედმეტობიდან	51,774	105,568
ზარალი კომპენსაციის გარეშე მიწოდებიდან	(503,575)	(909,546)
მოგება/ზარალი საგარანტიო მომსახურებიდან	(87,068)	47,315
საქველმოქმედო ხარჯი	(36,674)	(42,652)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(152,970)	20,233
სულ	(1,491,476)	(245,940)

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება

საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცდილების სტატუსის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38,393,067	38,916,629
ფული და ფულის ეკვივალენტი	19,374,255	17,967,978
სულ საკრედიტო რისკი	57,767,322	56,884,607

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერი

	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	19,374,255			19,374,255

შპს ჯი-თი გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,054,076	29,338,991	(300,167)	38,092,900
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	28,428,332	29,338,991	(300,167)	57,467,155
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა	4,803,178	-	-	4,803,178
ვალდებულებები სესხები	14,800,549	265,556	4,601,145	19,667,250
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	19,603,727	265,556	4,601,145	24,470,428
ლიკვიდობის დეფიციტი	8,824,605	29,073,435	(4,901,312)	32,996,727
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	8,824,605	37,898,039	32,996,727	

2023 წლის 31 დეკემბერი

	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	17,967,978			17,967,978
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,157,839	18,758,790	(248,758)	38,667,871
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	38,125,817	18,758,790	(248,758)	56,635,849
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა			-	
ვალდებულებები სესხები	11,210,707 10,312,460	119,076 25,400,000	3,705,302	11,329,783 39,417,762
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	21,523,167	25,519,076	3,705,302	50,747,546
ლიკვიდობის დეფიციტი	16,602,650	(6,760,286)	(3,954,060)	5,888,303
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	16,602,650	9,842,363	5,888,303	

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,616,760	13,188,519	401,620	2,496,284
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,648,859	9,453,765	372,025	6,489,295
სულ ფინანსური აქტივები	7,265,618	22,642,283	773,645	8,985,579
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	1,607,062	3,348,581	-	5,936,777
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,183,578	1,885,193	5,700,052	6,388,823
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,790,640	5,233,774	5,700,052	12,325,600
სულ წმინდა პოზიცია	2,474,978	17,408,510	(4,926,406)	(3,340,021)

2024 წლის 31
დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	494,996	(494,996)	3,481,702	(3,481,702)

2023 წლის 31
დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(985,281)	985,281	(668,004)	668,004

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები (შენიშვნა 12)	19,667,250	39,417,762
ფული და ფულის ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	19,374,255	17,967,978
წმინდა სესხები	292,995	21,449,784
სულ კაპიტალი	329,312,651	238,519,055
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	0%	9%

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული

შპს ჯი-თი გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ პირებთან შემდეგია:

შპს „ჯი თი გრუპ“-ის კრედიტორული დავალიანების ბრუნვა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან

	საიდენტიფიკაციო კოდი/პ.ნ	ნაშთი 1 იანვარი 2024	ბრუნვა დებ	ბრუნვა კრედ	ნაშთი 31 დეკემბერი 2024
შპს ჯი თი მოტორსი	206276340		2,871,342	2,871,342	
შპს ევროპროდუქტი	202227134		138,060	138,060	
ჯამი			3,009,402	3,009,402	-

შპს „ჯი თი გრუპ“-ის დებიტორული დავალიანების ბრუნვა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან

	საიდენტიფიკაციო კოდი/პ.ნ	ნაშთი 1 იანვარი 2024	ბრუნვა დებ	ბრუნვა კრედ	ნაშთი 31 დეკემბერი 2024
შპს ევროპროდუქტი	202227134	-	11,523	11,523	-
შპს ჯი თი მოტორსი	206276340	-	679,873	679,873	-
მენეჯმენტის ხელფასი		561,479	6,502,719	6,795,912	854,672
ჯამი		561,479	7,194,115	7,487,308	854,672

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არ აქვს

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი გავრცელება

არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა.

2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიცდის ცვლილებას კორონავირუსთან დაკავშირებით. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს მთავრობის 297-ე ბრძანებით კომპანიის ძირითადი საქმიანობა არ იყო შეზღუდული და სრულად განაახლა საოპერაციო საქმიანობა 2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან და დღემდე შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას საწარმოს ფუნქციონირებაზე.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.



შპს ჯი-თი გრუპ

მმართველობითი ანგარიშგება;
2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2025 წელი
შპს ჯი-თი გრუპ

სარჩევი

„ჯი-თი გრუპ“-ის პორტფელი	2
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
„ჯი-თი გრუპ“-ის მიმართულებები	5
შვილობილი კომპანიების საქმიანობა	6
საქმიანობის ლოკაციები.....	7
2024 წელს განხორციელებული პროექტები და მიღწევები	9
რისკები.....	11

„ჯი-თი გრუპ“-ის პორტფელი

კომპანია „ჯი თი გრუპი“, მულტიბრენდული, მრავალი მიმართულებით მომუშავე ბიზნეს-კომპანიაა, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2005 წლიდან საქმიანობს. „ჯი თი გრუპის“ ძირითად საქმიანობას, საავტომობილო და ინდუსტრიული ზეთების, ავტოტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო, მუნიციპალური და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის იმპორტი და შემდგომი მომსახურება მოიცავს.

შპს „ჯი თი გრუპს“ 2019 წელს მიღებული აქვს ISO 9001:2015 -ის ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატი, ხოლო 2025 წელს კომპანიამ მიიღო ISO 14001:2015 (გარემოს დაცვის მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატი). „ჯი თი გრუპი“ რეგულარულად მუშაობს მომსახურების ხარისხის დახვეწა-გაუმჯობესებაზე, რაც უმნიშვნელოვანესია კლიენტების მოზიდვისა და მათი შენარჩუნებისათვის. აღნიშნული საერთაშორისო სერტიფიკატების მოთხოვნების შესრულება კრიტიკულია ბიზნეს-ორგანიზაციებისთვის. ნებისმიერი ბიზნესი, მომხმარებელთა მრავალფეროვან საზოგადოებასთან მუშაობისას, ვალდებულია მუდმივად შეესაბამებოდეს მომხმარებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს; ასევე აუცილებელია რომ კომპანიის მუშაობა სრულად შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

„ჯი თი გრუპის“ საქმიანობის ისტორია მრავალფეროვანი ბიზნესის ზრდისა და განვითარების ეტაპებისგან შედგება, რომლებიც გულისხმობენ ბაზრისა და მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შეთავაზებას საავტომობილო, მუნიციპალური, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო მიმართულებებით.

ნებისმიერი ბიზნესის ზრდა და განვითარება, როგორც წესი, ქვეყანაში და საერთაშორისო ბაზრებზე ბიზნესის და საინვესტიციო გარემოს, სამრეწველო და სავაჭრო ურთიერთობების მიმდინარეობაზე და ტენდენციებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ბიზნესი და მისი მრავალი მიმართულება, დამოკიდებულია რიგ შიდა და საგარეო ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუწყონ ან შეუმალონ საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს.

პოლიტიკური ან ეკონომიკური არასტაბილურობის ფაქტორებს, რომელთა მიზეზები მრავალგვარია (ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, საომარი მოქმედებები, პანდემია, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჯაჭვების ფუნქციონირების პრობლემები, სახიფათო კლიმატური და მეტეოროლოგიური მოვლენები, სხვა), შეუძლიათ გამოიწვიონ კომპანიის რომელიმე მიმართულებისთვის პრობლემების შექმნა, ან ეკონომიკის რომელიმე დარგში კრიზისული მოვლენების განვითარდება. ეს მრავალგვარი და ხშირად, მოულოდნელი რისკები, შესაძლებელია კომპანიისთვის და მისი სტაბილური განვითარებისთვის სახიფათო აღმოჩნდეს.

ზემოთდასახელებული ხიფათებისა და რისკების დასაბალანსებლად, „ჯი თი გრუპის“ განვითარების სტრატეგია გულისხმობს სხვადასხვა ბიზნეს-მიმართულებების ერთდროულად განვითარებას და კომპანიის საქმიანობაში ახალი, ტექნოლოგიური თუ ეკონომიკური, მოდელების დანერგვას, რაც კომპანიას (განსაკუთრებით გლობალური ან რეგიონული კრიზისული მოვლენების განვითარებისას) საშუალებას აძლევს დარჩეს ბაზარზე, შეარბილოს ბიზნესზე უარყოფითი გავლენები და გააგრძელოს ბაზარზე საქმიანობა.

კომპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საყურადღებო მიმართულებას წარმოადგენს მენეჯმენტის სისტემის მუდმივი დახვეწა და გაუმჯობესება. კომპანია თვლის, რომ ეს აუცილებელი პირობაა კომპანიის მიერ დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად, არასასურველი ან დამაზიანებელი შედეგების შესარბილებლად და/ან შესამცირებლად, ხოლო სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებსა და მიმართულებებში გაუმჯობესებისა და მეტი ეფექტურობის მისაღწევად.


შესაბამისად, შპს „ჯი თი გრუპი“ მუდმივად ცდილობს არსებული ბიზნეს-პორტფელების კრიტიკულად შეფასებას, მათი ეფექტურობის ანალიზს, პორტფელების დივერსიფიცირებას და ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საქმიანობის, კომპანიის ადამიანური კაპიტალისა და ახალი პროფესიული ცოდნის მუდმივ ზრდასა და განვითარებას. სიახლისადმი სწრაფვა, კომპანიისთვის საყურადღებო და საინტერესო დარგებში არსებულ სიახლეებთან გაცნობა, ახალი ცოდნის მოპოვება და დაგროვება, კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სტრატეგიული დატვირთვის მქონე მიმართულებას წარმოადგენს.

„ჯი თი გრუპი“, როგორც ფართო პროფილის მქონე კერძო კომპანია, თავისი სტრუქტურით ჰოლდინგურ გაერთიანებას წარმოადგენს. მისი დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები, შემდეგი წილობრივი მონაწილეობით: გიორგი გველესიანი - 33,334%, გიორგი თავდიშვილი - 33,333% და თემურ უსტიაშვილი - 33,333%.

ჰოლდინგის შემადგენლობაში შედის რამდენიმე დამოუკიდებლად მომუშავე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „ჯი თი გრუპი“ 100% წილის მფლობელია შემდეგ შვილობილ კომპანიებში: შპს „ჯი თი მოტორსი“ და შპს „კოლხი ჯგუფი“. კომპანია „ჯი თი გრუპი“ არის პარტნიორი და 50%-წილის მფლობელი შპს „ევროპროდუქტი“ (იხ. ნახატი 1).

შპს „ჯი თი გრუპის“ მმართველ ორგანოს წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კომპანიის დამფუძნებლები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა გიორგი გველესიანი.

ნახატი 1. შპს „ჯი თი გრუპის“ ჰოლდინგის სტრუქტურა-შემადგენლობა



„ჯი თი გრუპი“ ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროდუქციის იმპორტს, გაყიდვებსა და საგარანტიო და გარანტიის შემდგომ სერვისულ მომსახურებას, საქართველოს მასშტაბით.

„ჯი თი გრუპის“ პარტნიორი კორპორაციები, რომლებიც მსოფლიო საავტომობილო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და ავტოსაინჟინრო სფეროების ლიდერები და ნოვატორები არიან, მუდმივად სთავაზობენ თავის პარტნიორ კომპანია-დისტრიბუტორებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ახალი ტექნიკური თუ ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას სამოქმედო ტერიტორიებზე.

ჰოლდინგი „ჯი თი გრუპის“ საქმიანობის სპეციფიკაში აღსანიშნავია მისი მჭიდრო თანამშრომლობა რამდენიმე პარტნიორ გლობალურ კორპორაციასთან:

- „CASTROL“ და „British Petroleum – bp“ (დიდი ბრიტანეთი),
- „Ford Motors“ (აშშ),
- „Ford Otosan“ (აშშ/თურქეთი),
- „Jaguar Land Rover“ (დიდი ბრიტანეთი),
- BMW – Mini (გერმანია)

- “Suzuki Motor Corporation ” (იაპონია),
- CNH Industrial N.V./New Holland Agriculture (იტალია-აშშ),
- IVECO (იტალია),
- „KUHN“ (საფრანგეთი),
- “SOTKON” (პორტუგალია),
- „Anadolu Isuzu“ (თურქეთი/იაპონია),
- “Sumitomo Corporation ” (იაპონია),
- SHAANXI AUTOMOBILE HOLDING GROUP – SHACMAN (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა),
- Golden Dragon (ჩინეთის ს.რ.),
- Piaggio commercial (იტალია),
- Prinoth (იტალია),
- DULEVO (იტალია) და სხვები

„ჯი-თი გრუპი“ და მასში შემავალ კომპანიებში დასაქმებულია 500-ზე მეტი თანამშრომელი, რომლებიც სხვადასხვა სფეროებსა და სპეციალობებს წარმოადგენენ: ავტოინჟინრები, ელექტრიკოსები, მექანიკოსები, ფინანსური მართვის, ზოგადი მენეჯმენტისა და გაყიდვების სპეციალისტები. კომპანიის თანამშრომლების შერჩევა მიმდინარეობს კონკურსის საშუალებით და ეფუძნება შრომით ბაზარზე მოქმედი კონკურენციის პირობებს. არსებული პერსონალის უდიდეს ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი ტექნიკური, ეკონომიკური, ან ბიზნეს განათლება (ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებით) შესაბამისი სპეციალობებით.

„ჯი თი გრუპი“ არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოში, რომლისთვისაც ტექნოლოგიური ინოვაციები, ბიზნესის სიახლეები და ახალი პროექტები, განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენენ.

საქმიანობის მიმოხილვა

ჰოლდინგი „ჯი თი გრუპი“ ჩამოთვლილი საერთაშორისო კორპორაციებისა და მათი ბრენდების ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში, რომლებიც ძირითადად მოიცავენ საავტომობილო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და მუნიციპალური ტექნიკისა და გაყიდვის შემდგომი მომსახურების სფეროებს.

„ჯი თი გრუპი“ მუდმივად მონაწილეობს საქალაქო და სახელმწიფო საჯარო სამსახურებისთვის ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდებაში, შესაბამისად კომპანიის პროდუქციის მომხმარებელთა ბაზა ძალიან მრავალფეროვანია, რომელშიც, გარდა კერძო სექტორის მცირე და მსხვილი კომპანიებისა, ასევე შედიან სახელმწიფო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტები. „ჯი-თი გრუპი“ ერთნაირად მაღალი პასუხისმგებლობითა და წარმატებით ახორციელებს მცირე და მსხვილი ზომის პროექტებს სახელმწიფო თუ კერძო დამკვეთებისათვის.

მათ შორის აღსანიშნავია თბილისის მერიის სამსახურები („თბილსერვის ჯგუფი“), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, თბილისის წყალი - GWP (Georgian Water and Power), სს თელასი, სს ენერგოპრო ჯორჯია, ბათუმის მუნიციპალური მპს „სანდასუფთავება“, საქართველოს რაიონების მუნიციპალიტეტები და ათობით სხვა მსხვილი და საშუალო კერძო კომპანია.

ჰოლდინგი „ჯი თი გრუპი“, ასევე აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ნოვატორულ პროექტებში, რომლებიც საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისა და ზოგადად, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას ემსახურება.

„ჯი თი გრუპი“ რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო განვითარებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პროექტებში (USAID, EBRD, აშშ-ს სავაჭრო პალატა საქართველოში), ტენდერებში და ღონისძიებებში, რომლებიც ბიზნესის განვითარებისა და შიდა ბაზრის ხელშესაწყობად ტარდება.

აღსანიშნავია, რომ გარდა ტექნიკის მიწოდებისა, „ჯი თი გრუპი“ საკუთარ მომხმარებლებს ეხმარება თანამედროვე ტექნოლოგიების სრულყოფილად ათვისებაში. ჩვენს მიერ დანერგილია პრაქტიკა, როდესაც თითოეულ მიწოდებულ ტექნიკის სახეობას, უნდა თან ახლდეს შესაბამისი ტექნიკური და საოპერაციო სწავლება. სწავლებას ატარებენ როგორც ჩვენი ცენტრის ტრენერები, ისე - მოწვევული სპეციალისტები პარტნიორი კომპანიებიდან. საჭიროების შემთხვევაში, ხდება შემსყიდველის სპეციალისტების უცხოეთში გადამზადებაც.

ჯი-თი გრუპ-ის, როგორც ცალკეული ერთეულის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებად არის დაყოფილი, ხოლო თითოეული მიმართულებით კომპანია ექსკლუზიურად წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან ბრენდებს, რომლებიც მოწინავე პოზიციაზე არიან საქართველოს ბაზარზე.

„ჯი-თი გრუპ“-ის მიმართულებები

- თანამედროვე სპეციალიზირებული, მუნიციპალური და სადისტრიბუციო სატვირთო ავტომობილების მიწოდება კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, საქართველოს მზარდი სამშენებლო და სადისტრიბუციო სექტორების მოთხოვნების შესაბამისად. ბრენდები:
 - FORD Trucks
 - IVECO
 - Isuzu
 - Piaggio
 - Shacman
- ზემადილი გამავლობის, სპეციალური დანიშნულების სატვირთო ავტომობილების მიწოდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და ორგანიზაციისათვის. ბრენდები:
 - ASTRA
 - Iveco
- **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის** (ტრაქტორები, კომბაინები, მისაბმელი აგრეგატები) მიწოდება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის და კერძო კომპანიებისთვის, რომელიც სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეურნეობის წესების დამკვიდრებას უწყობენ ხელს. ბრენდები:
 - New Holland
 - Kuhn
- სამშენებლო ტექნიკის მიმართულებით ჯი-თი გრუპი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის(ბორბლიანი, მუხლუნა, ტელესკოპურ და ა.შ) დამტვირთველებს. ძირითადი ბრენდები, რომლებსაც კომპანია ექსკლუზიურად წარმოადგენს საქართველოში:
 - Case
 - Sumitomo
 - Manitou
 - Lonking
 - Sunward

- კომპანია ავტომობილების მიმართულებით წარმოადგენს რამდენიმე წამყვან საერთაშორისო ბრენდს და ბაზარზე უზრუნველყოფს თანამედროვე, უსაფრთხო და კომფორტული მგზავრთა გადასაცვანი ტექნიკის მიწოდებას. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებას, ვინაიდან პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ურბანული და რეგიონული მობილობის გაუმჯობესებასთან. კომპანიის საქმიანობა ამ სფეროში ხელს უწყობს, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხის ამაღლებას, ასევე კერძო შემსყიდველებისათვის მგზავრთა უფრო თანამედროვე გადაადგილების საშუალებებზე ხელმისაწვდომობას.

ბრენდები:

- Isuzu
- Iveco
- Golden Dragon

- „ჯი-თი გრუპის“ ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს ბიზნეს განვითარების პროექტები. ამ მიმართულებით კომპანია ახორციელებს ისეთი ტიპის ტექნიკის მიწოდებას, როგორიც არის სპეციალური მუნიციპალური დანიშნულების, მათ შორის ქუჩების სახვეტ-სარწყავი, ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მაღალტექნოლოგიური ავტომობილები და ასევე, მიწისქვეშა ურნები. ბიზნეს განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტებისათვის კომპანია ექსკლუზიურად წარმოადგენს ბრენდებს:

- Dulevo
- Dyna-Fog
- Prinoth

- „ჯი-თი ვინეა“ არის კომპანიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც აქტიურ მუშაობს ეწვეა ღვინის მრეწველობისთვის საჭირო დანადგარებისა და მასალების იმპორტის მიმართულებით. „ჯი-თი ვინეა“-ს საქმიანობა ღვინის მწარმოებელ მომხმარებელზეა ორიენტირებული და ადგილობრივ მომხმარებელს სთავაზობს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, მეღვინეობის ახალ მასალებს და მეღვინეობის სფეროსთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ეხმარება ღვინის ქართველ მწარმოებლებს, ხელს უწყობს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას და ზრდის მის საექსპორტო პოტენციალს.

- სამომავლოდ, 2025-2026 წლებში ჰოლდინგი „ჯი თი გრუპი“ გეგმავს გაფართოებას, არსებული და ახალი, მაღალტექნოლოგიური და პერსპექტიული მიმართულებების განვითარებას (მუნიციპალური ელექტრო ავტომობილების იმპორტი) და თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, სხვა სფეროების ათვისებას და ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

შვილობილი კომპანიების საქმიანობა

- „ჯი თი გრუპის“ შვილობილი კომპანია, შპს „**ჯი თი მოტორსი**“ წარმოადგენს საქართველოს მსუბუქი საავტომობილო სეგმენტის ერთ-ერთ ფლაგმანს. „ჯი თი მოტორსი“ გახლავთ საქართველოში რამდენიმე წამყვანი, გლობალური ბრენდის BMW-ს და MINI-ს (გერმანია), „Ford Motors“ (აშშ), „Jaguar Land Rover“ (დიდი ბრიტანეთი) და „Suzuki Motor Corporation“ (იაპონია), ოფიციალური წარმომადგენელი და სერვის-პარტნიორი საქართველოში.
- „ჯი-თი გრუპ“-ის შვილობილი კომპანია, შპს „**კოლხი ჯგუფი**“, საქართველოში ახორციელებს მოწინავე ტექნოლოგიებითა და ევროკავშირის სტანდარტებით, ეკოლოგიურად დამზადებული გადასახური და მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების იმპორტსა და სამონტაჟო მომსახურებას. ამ მასალებისა და ტექნოლოგიების იმპორტი ხელს უწყობს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე ევროპული პროდუქციის

პოპულარობის ზრდასა და ევროკავშირში მიღებული სამშენებლო სტანდარტების გავრცელებას, დიზაინისა და მშენებლობის სფეროებში.

- „ჯი-თი გრუპ“-ის შვილობილი კომპანია **შპს „ევროპროდუქტი“** არის სუპერმარკეტების ქსელი, რომელიც ახორციელებს წამყვანი ევროპული ბრენდების 2000-მდე სახეობის პროდუქტის იმპორტს საქართველოში. ქართველი მომხარებელი „ევროპროდუქტის“ საშუალებით, პროდუქციას პირდაპირ ევროპული საწარმოებიდან იღებს. ქსელს წვდომა აქვს ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა: ორგანული, ულაქტოზო, უგლუტენო, ვეგანური, უმაქრო და ა.შ.

საქმიანობის ლოკაციები

კომპანია **შპს „ჯი თი გრუპი“** საქართველოში წარმოდგენილია ავტოსერვისის, საწარმოო და სავაჭრო პროფილის შემდეგი ობიექტებით:

ა) თბილისის სათაო ოფისი, გაყიდვების ოფისი და ავტოსერვისის საამქრო სატვირთო, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისთვის.

ბ) დავით აღმაშენებლის ხეივანის #216-ში მდებარე შენობა, შოუ-რუმის, სამღებრო საამქროს, საავტომობილო სერვისის სივრცეებითა და ეზოთი.

გ) „ჯი თი გრუპის“ ქუთაისის ფილიალი. მისამართი: ნიკეას ქუჩა 10/12 ა, 4600 ქუთაისი, საქართველო. ფილიალში განთავსებულია ავტოსერვისი, საცხებ-საპოხი მასალების მაღაზია და მცირე საწყობი.

დ) „ჯი თი გრუპის“ მარნეულის ფილიალი - „კასტროლის“ ზეთებისა და საცხებ-საპოხი მასალების მაღაზია და ზეთის გამოცვლისა და ვულკანიზაციის სერვისი (ავტომობილების მსუბუქი ტიპის სერვისი). აღსანიშნავია რომ მარნეულის ფილიალში, „ჯი თი გრუპმა“ პირველად გამოიყენა, ბიზნესისათვის საჭირო ელექტროენერგიის ნაწილის, სახურავზე განლაგებული მზის ბატარეებით გენერაცია, რაც სიახლეა ჩვენს დარგში და სავარაუდოდ, ფართო განვითარებას მიიღებს როგორც „ჯი თი გრუპის“ სხვა ფილიალებში და ბიზნესებში, ისე ავტომობილების იმპორტ-ექსპორტითა და სერვისით დაკავებულ სხვა კომპანიებშიც (საქმიანობაში დაბალემისიური ტექნოლოგიების დაგეგმვის, დაპროექტებისა და გამოყენების კუთხით).

2024 წელს დაიგეგმა ახალი სერვის-ცენტრის მშენებლობა სატვირთო, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისთვის დიდოშში (თბილისი), რომელიც განთავსდება „ჯი თი გრუპის“ სათაო ოფისის მოპირდაპირედ. ამჟამად, მიმდინარეობს ამ ახალი ობიექტის საპროექტო სამუშაოები, რომელთა დასრულებაც განსაზღვრულია 2026 წელს.

გარდა ზემოთ აღწერილი საწარმოებისა და რეგიონული ფილიალებისა, „ჯი თი გრუპი“, თბილისის მერიასთან 2020 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მენეჯერებისა და კვალიფიციური ტექნიკოსების გუნდით ემსახურება (სასერვისო მომსახურება) თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საჯარო ავტობუსების პარკს. უკვე მუშაობს ავტობუსების ახალი, ორი სერვის-ბაზა, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შეძენილ, ახალი საზოგადოებრივი ავტობუსების მომსახურებისთვის, თბილისში (სამგორის რაიონში, ე.წ. „აფრიკის დასახლებაში“ და დიდ დიდოშში). ასევე, ქ. ბათუმში, „ჯი თი გრუპის“ თანამშრომლები საგარანტიო მომსახურებას უწევენ ბათუმის ავტობუსებს, ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიის ბაზაზე.

ქვემოთ გთავაზობთ „ჯი თი გრუპის“ ოფისებისა და ფილიალების მოკლე აღწერას:

- **შპს „ჯი თი გრუპის“ სათაო ოფისი**, სატვირთო ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ავტოსერვისის საამქრო და საწყობები მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #216, დიდი დიდოში, 0131 თბილისი.
 - თბილისის სათაო ოფისის საგამოფენო სივრცეებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის სამშენებლო, სპეციალური დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. სატვირთო

ავტომობილები - „ფორდი სატვირთო“, „ივეკო“; ტრაქტორები - „ნიუ ჰოლანდი“; დამტვირთველები - „მანიტუ“ და „ნიუ ჰოლანდი“; ასევე, სათაო შენობის ჰოლში განთავსებულია ძრავის ზეთისა და სხვა საცხებ-საპოხი მასალების სადემონსტრაციო-გასაყიდი სივრცე (ბრენდები: bp, Castrol, ARAL).

- „ჯი თი გრუპის“ თბილისის სათაო ოფისის მიმდებარედ წარმოდგენილია სატვირთო, სამშენებლო და სასოფლო დანიშნულების ტექნიკის ავტოსერვისი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად რვა ერთეული კომერციული ავტომობილის/სპეციალური ტექნიკის მომსახურება. ავტოსერვისი აღჭურვილია ჩვენი პარტნიორი კომპანიის „ფორდი სატვირთო“-ს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სატვირთო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.
- 2020 წლის დასაწყისში, „ჯი თი გრუპმა“ შეიძინა დავით აღმაშენებლის ხეივანის #218-ში მდებარე, მომიჯნავე შენობა, ავტოსერვისის სივრცითა და ეზოთი (საერთო ფართობი: 2945 მ²), სადაც 2021-2022 წლებში განთავსდა და მუშაობა დაიწყო მაღალტექნოლოგიური სამღებრო და სათუნუქე საამქროებმა და თანამედროვე საავტომობილო მომსახურების (ავტოსერვისის) ცენტრმა, ავტობუსებისა და სხვა ტიპის ავტომობილებისათვის.
- „ჯი თი გრუპის“ თბილისის სათაო ოფისის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ჩქარი მომსახურების (ზეთის შეცვლა, მცირე რემონტი) მცირე საავტომობილო სერვისი, რომელიც ერთდროულად სამი (3) ავტომობილის მომსახურებისათვის არის განკუთვნილი. მცირე სერვისი აღჭურვილია სამი ამწითა და ზეთისა და საცხებ-საპოხი მასალების შეცვლის დანადგარებით. აქვე, ამავე სივრცეში ხდება BMW-ს და MINI-ს მარკის ავტომობილების („ჯი თი მოტორის“ გაყიდული ერთეულების) ელექტრობის დიაგნოსტიკა.
- „ჯი თი გრუპის“ სათაო ოფისის საწყობები აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების დანადგარებით და გამოიყენება საცხებ-საპოხი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესანახად და სრულად შეესაბამება ჩვენი პარტნიორების, „ბი პი კასტროლის“, „ფორდისა“ და „ნიუ ჰოლანდის“ უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.
- „ჯი თი გრუპის“ თბილისის სათაო ოფისში განლაგებულია კომპანიის მენეჯმენტისა და გაყიდვების პერსონალის სამუშაო ოფისები.
- „ჯი თი გრუპმა“ 2022 წელს მოამზადა და კომპანიის პერსონალში შემოიღო შრომის უსაფრთხოების ოფიცრის სპეციალური თანამდებობა, რომელიც კომპანიის დაეხმარება შრომის უსაფრთხოების ახალი წესებისა და რეგულაციების დანერგვაში სამუშაო ადგილებზე.
- „ჯი თი გრუპის“ ფილიალი ქ. მარნეულში (ქვემო ქართლი, საქართველო), რომელიც მოიცავს „კასტროლის“ მაღაზიას და ავტომობილების მომსახურების ცენტრს (ზეთის შეცვლა, ვულკანიზაცია, ნახარის გასწორება, გამაგრებული და ჰიდრაულიკური სითხეების გამოცვლა და სხვა მცირე მომსახურება) გამორჩეულია იმით, რომ ცენტრის ენერგომომარაგების ტექნოლოგიურ ციკლში ჩართულია მზის პანელებით აღჭურვილი სახურავი, რომელიც წელიწადის განავლობაში, მზის ენერგიით დაახლოებით 12,000-მდე კვტ/სთ ენერგიას გამოიმუშავებს (ეს დაახლოებით ის ენერგიაა, რომელსაც ერთი საშუალო ოჯახი მოიხმარს 365 დღის განმავლობაში)!
- „ჯი თი გრუპის“ სათაო ოფისში, თბილისში, მოქმედებს სპეციალური სასწავლო აუდიტორია, სადაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სწავლებებს უტარებენ „ჯი თი გრუპის“ ტექნიკურ და მართვის სფეროში დასაქმებულ თანამშრომლებს. ტრენინგები, ძირითადად, საავტომობილო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, მუნიციპალური და სპეციალური ტექნიკის სიახლეების შესწავლის და გაყიდვების, ფინანსური მართვის, ბიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებებს მოიცავს. გარდა ამისა, „ჯი თი გრუპის“ თანამშრომლები, რეგულარულ გადიან სწავლებებს პარტნიორ კომპანიებთან, მათ საწარმოებში. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მუდმივად მიმდინარე სპეციალიზირებული სწავლებისა და ტრენინგების მეშვეობით, დიდი ყურადღება ექცევა პერსონალის პროფესიულ და ინტელექტუალურ განვითარებას. სასწავლო პროცესი, „ჯი თი გრუპის“ განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.


- **შპს „ჯი თი მოტორსის“ სათაო ოფისი თბილისში** - ავტომობილების საგამოფენო სივრცეები და ავტოსერვისის საამქროები თბილისში: მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, 0131 თბილისი. „ჯი თი მოტორსის“ თბილისის ოფისი შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:
 - 1) „ფორდ მოტორსის“ საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქროები.
 - 2) „ლენდ როვერის“ საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქრო (დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ).
 - 3) „იაგუარის“ საგამოფენო სივრცე და ავტოსერვისის საამქრო (დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ)
 - 4) „სუზუკის“ საგამოფენო სივრცე (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, #216).
 - 5) „BMW“ და „MINI“-ის საგამოფენო სივრცე (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, #216).
 - 6) „ჯი თი ვინეას“ მაღაზია და საგამოფენო სივრცე (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, #209).
- **„ჯი თი მოტორსის“ ბათუმის ფილიალი.** მისამართი: ორბელიანის ქუჩა #21, 6010 ბათუმი, საქართველო. „ფორდისა“ და „სუზუკის“ საგამოფენო სივრცეები და ავტოსერვისი.
- საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს „ჯი თი მოტორსის“ ქუთაისის ფილიალის გასახსნელად (წყალტუბოს რაიონი, სოფ. ზედა მესხეთი, მსუბუქი ავტომობილების გაყიდვები, სათადარიგო ნაწილები და საავტომობილო სერვისი).
- **შპს „კოლხი ჯგუფი“** - მისამართი: ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 48ვ, თბილისი. სათაო საოფისე შენობა და სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების საწყობი.
- **„ჯი თი გრუპის“ ფილიალი, ქ. მარნეულიში** (ქვემო ქართლი, საქართველო), „კასტროლის“ მაღაზია და ავტომობილების მომსახურების ცენტრი (ზეთის შეცვლა, ვულკანიზაცია, ნახარის გასწორება, გამაგრებული და ჰიდრაულიკური სითხეების გამოცვლა და სხვა მცირე მომსახურება).
- **„ჯი თი გრუპის“ სერვის-ცენტრი ქ. ქუთაისში** (იმერეთი, საქართველო) - „კასტროლის“ მაღაზია და ავტომობილების მომსახურების ცენტრი (ზეთის შეცვლა, ვულკანიზაცია, გამაგრებული და ჰიდრაულიკური სითხეების გამოცვლა და სხვა მცირე მომსახურება).

2024 წელს განხორციელებული პროექტები და მიღწევები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღსანიშნავია „ჯი-თი გრუპის“ ახალი პროექტების განხორციელების, უახლესი ტექნოლოგიური პროდუქტების იმპორტირების და საერთაშორისო და რეგიონულ კონკურსებში მონაწილეობის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი.

- 2024 წელს, შპს „ჯი-თი გრუპ“-მა შექმნა ახალი მიმართულება „ჯი-თი მარინი“, რომელიც მოიცავს სპორტულ/სასეირნო მოტორიზებული ნაპირებისა და კატერების იმპორტს, როგორც საწყალოსნო გართობის მოყვარულებისათვის, ასევე ტურისტული ბიზნესებისათვის. „ჯი-თი მარინი“, როგორც ჯი-თი გრუპ-ის მმართველობის ქვეშ არსებული ბრენდი, საქართველოში ოფიციალურად წარმოადგენს წყლის ტრანსპორტის მიმართულებით მსოფლიოს წამყვან ისეთ ბრენდებს, როგორც Marex და Mastercraft არის.
- 2024 წელს, „ჯი თი გრუპმა“ დაიწყო საქმიანი ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სამგზავრო მატარებლებისა და მეტროს ვაგონების უმსხვილეს მწარმოებელთან, სახელმწიფო კორპორაცია CRRC -თან და მის ერთ-ერთ განყოფილებასთან, CRRC Nanjing Puzhen-თან, რომელიც მეტროს ვაგონების ყველაზე მსხვილი მწარმოებელია ჩინეთში. კომპანია, 2025 წლისათვის გეგმავს ერთობლივ მუნიციპალური მიმართულების პროექტებს აღნიშნულ ჩინელ მწარმოებელთან ერთად.
- სატვირთო ავტომობილების მიმართულებით ჯი-თი გრუპის გაყიდვების წილი 2024 წელს 17% არის, რაც წინა წელთან შედარებით 4%-იან ზრდას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მთლიანი ბაზარი წინა წელთან შედარებით 49%-ით გაიზარდა, თუმცა, ამის მიუხედავად კომპანიამ შეძლო, რომ არამხოლოდ შეენარჩუნებინა, არამედ გაეზარდა მისი წილი რამდენიმე პროცენტით.

ნახატი N2, სატვირთო ავტომობილების რეალიზაცია 2023-2024 წლებში.



- განსაკუთრებით აღსანიშნავია Shacman-ის ბრენდის გაყიდვების ზრდა 2024 წელს, რომელმაც 171 ერთეულს შეადგინა, რაც მთლიანი ბაზრის 8%-ს შეადგენს.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპი გახდა Isuzu იაპონიის ოფიციალური დილერი საქართველოში, ხოლო 2025 დან გეგმავს რეალიზაციის დაწყებას. Isuzu-სთან თანამშრომლობით კომპანია იმედოვნებს, რომ გაზრდის გაყიდვებს მსუბუქი და საშუალო წონის კომერციულ ავტომობილებში.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპი გახდა ოფიციალური დისტრიბუტორი ამერიკული სამშენებლო ტექნიკის მწარმოებელი Case-ის ბრენდის.
- სამშენებლო ტექნიკის სეგმენტში კომპანიის გაყიდვები ყოველწლიურად მზარდია, თუმცა უმეტესი ნაწილი სომხეთში ექსპორტზე მოდის. საქართველოს ბაზარზე პოზიციების გაუმჯობესების მიზნით, ბაზრის ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად, კომპანიამ სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო და 2024 წელს გააფორმა ექსკლუზიური დილერობის ხელშეკრულება ჩინურ Sunward-ის და Lonking-ის ბრენდებთან. 2025 წლიდან კომპანია გეგმავს, რომ დაიწყოს აღნიშნული ბრენდების პროდუქტების რეალიზაცია.
- 2024 წელს კომპანიამ გაზარდა Manitou-ს ბრენდის ტელესკოპური დამტვირთველების გაყიდვები და მთლიანი ბაზრის 30% დაიკავა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით მეტია.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა შეინარჩუნა ლიდერობა პრემიუმ სეგმენტის ტრაქტორებისა და კომბაინების ბაზარზე 31%-იანი წილით.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა 50-ზე მეტ მსხვილ თუ საშუალო ფერმერს უმასპინძლა New Holland-ის ბრენდის ღონისძიებაზე, რომელიც კომპანიამ რამდენიმე წლის წინ დანერგა და ყოველწლიური, ტრადიციული სახე მისცა. ღონისძიების პირველი ნაწილი შედგებოდა New Holland-ის პროდუქტების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობითი ნაწილით, რომელიც კონფერენციის სახით ჩატარდა. მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ New Holland-ის ტექნიკა, ხოლო ღონისძიების მეორე ნაწილი გალა ვახშამმა მოიცვა.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა წარმატებით დაასრულა თბილისერვისისათვის 54 ერთეული ავტომობილის მიწოდების პროექტი, რომელიც EBRD-ის დაფინანსებით განხორციელდა.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა სხვადასხვა მუნიციპალურ ერთეულს მიაწოდა 100-ზე მეტი Iveco-ს ბრენდის ავტომობილი.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა ხელშეკრულება გააფორმა 220 ერთეული Sotkon-ის ბრენდის მიწისქვეშა ურნის მიწოდებაზე. აღნიშნული პროდუქტის რეალიზაცია კომპანიისათვის ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბიზნეს მიმართულებად.
- 2024 წელს ჯი-თი გრუპმა წარმატებით დაასრულა 38 მუნიციპალიტეტისათვის 154 ერთეული ავტობუსის მიწოდება.

რისკები

„ჯი თი გრუპის“ მენეჯმენტი აცნობიერებს იმ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც კომპანიას შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ბაზარზე მუშაობისას, კერძო თუ სამთავრობო სუბიექტებთან და თავის უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას. „ჯი თი გრუპის“ მართვის ცენტრალური რგოლები და ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭო, რეგულარულად იკრიბება და მსჯელობს რისკების ანალიზსა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც შემდგომ კომპანიის ბაზარზე ოპერირების მიზნებსა და ამოცანებში აისახება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „ჯი თი გრუპის“ ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ რისკების აღბათობასა და გარემოებების ანალიზს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე, მის ეფექტურობასა და მომგებიანობაზე.

ზოგადი სქემა, რომელიც ამ რისკების შესწავლისა და ანალიზისთვის გამოიყენება, მოიცავს შესაძლო რისკების (მათ შორის ფინანსურის) აღბათობისა და მათი შესაბამისი ეფექტების გააზრებას, ანალიზსა და მათი შერბილების (მიტიგაციის) ღონისძიებებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას.

რისკების აღბათობის ანალიზისას გამოიყენება „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“ აღბათობის კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება რისკების შესაძლო გავლენის (ეფექტი) შეფასება კომპანიის საქმიანობაზე.

ქვემოთ გთავაზობთ რისკების შეფასების მატრიცას (იხ. ცხრილი 1), რომელიც აღწერს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტორებს, შესაძლო რისკებსა და მათ შესაძლო შედეგებს:

ეფექტი/ აღბათობა	უმნიშვნელო	მცირე	საშუალო	დიდი	კატასტროფული
დაბალი			პოლიტიკური მოვლენები, არასტაბილურობა; ბუნებრივი კატაკლიზმები		შეაიარაღებული დაპირისპირება, ომი
საშუალო	საგარეო ფაქტორების გავლენა ბიზნეს-საქმიანობაზე		-კვალიფიციური კადრების დეფიციტი; -ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობა (ფლუქტუაცია)		
მაღალი			ეპიდემიოლოგიური საფრთხე, ინფექციური დაავადებები; კიბერუსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებული საფრთხეები		

ცხრილი 1. რისკების აღბათობისა და მათი გავლენების შეფასების ზოგადი სქემა

წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, რომ კომპანია აცნობიერებს და აანალიზებს იმ შესაძლო შედეგებს, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნას სხვადასხვა ტიპის რისკებისგან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის პოლიტიკასა და საქმიანობაზე.

ბუნებრივი კატაკლიზმები - „ჯი თი გრუპის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივ მოვლენებსა და მათ სტიქიურ გამოვლინებებს, რომელთა დადგომის ალბათობა დაბალია, თუმცა მისი განვითარების შემთხვევაში, მას შეუძლია შესამჩნევი ზიანის (საშუალო ეფექტის) მიყენება კომპანიის ოპერაციებისათვის: ამ მოვლენებში შესაძლოა მოიპოვებოდეს სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, დიდი რაოდენობის ნალექი, წყალდიდობა, ტრანსპორტირების შეფერხება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ხანძარი და ტექნოგენური კატასტროფები. ამ მოვლენების შერბილებისთვის, კომპანია აქტიურად იყენებს ტვირთების, საავტომობილო და სხვა ტექნიკის დაზღვევის საშუალებებს.

ეპიდემიოლოგიური საფრთხე (ინფექციური დაავადებები) – „ჯი თი გრუპის“ საქმიანობისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით, ძალიან საყურადღებოა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, რაც საანგარიშო პერიოდის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა. კომპანიის მენეჯმენტი, 2019-2022 წლებში (კოვიდის გლობალური პანდემიის პერიოდში) ყველა შესაძლო ხერხით ცდილობდა და ხელს უწყობდა კომპანიაში დასაქმებული პერსონალის კოვიდ-19-ისგან დასაცავად განკუთვნილი ვაქცინაციის პროცესის წახალისებას - განსაკუთრებით კომპანიის იმ პერსონალისა, ვისაც პირდაპირი შეხება აქვს კომპანიაში მომსვლელ მომხმარებელთან: გაყიდვების, სერვის-მომსახურებისა და ადგილებზე მომსახურების მობილური ჯგუფების პერსონალი. ეპიდემიოლოგიური ვითარების გამწვავების პირობებში, საანგარიშო პერიოდში, კომპანიამ მიღებული ჰქონდა და გაითვალისწინა ყველა ის ზომა და ღონისძიება, რომელიც 2021-2022 წწ. მოქმედებდა ქვეყანაში, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით. შესაბამისად, ამ რისკის დადგომის ალბათობას კომპანია აფასებს როგორც „მაღალს“, ხოლო მისი დადგომის შედეგებს როგორც „საშუალოს“ (იხ. ცხრილი 1).

პოლიტიკური არასტაბილურობა - არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში, შეუძლია მნიშვნელოვანი (დიდი ეფექტის) უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადად ბიზნესის წარმოებაზე და კერძოდ, კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან, მის გადაზიდვასთან, მომსახურებასთან და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ ციკლებთან, რომელთათვისაც აუცილებელია სტაბილური, წინასწარგანჭრეტადი და კეთილგანწყობილი გარემო.

არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს შიდა და საგარეო ინვესტიციების მოცულობაზე, შიდა ბაზრის ზრდა-განვითარებაზე, სხვადასხვა ტიპის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაზე. ეს ყველაფერი კი ნეგატიურად აისახება იმ ბიზნეს სექტორზე, რომელიც დაკავშირებულია იმპორტირებული საქონლის გაყიდვებთან, მშენებლობასთან, ტვირთისა და სამგზავრო გადაზიდვებთან, მუნიციპალურ სამუშაოებსა და ფინანსურ მომსახურებასთან. არასტაბილური პოლიტიკური და ბიზნეს-გარემო კი თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნესის ზრდას, რაც შედეგად იწვევს სამუშაო ადგილების რაოდენობის, მოსახლეობის მყიდველუნარიანობისა და საქონელზე მოთხოვნის შემცირებას. შესაბამისად, იზრდება უმუშევრობა და სიღარიბე. სავარაუდოდ, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, მკვეთრი ცვლილებების ალბათობა, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს ქვეყანაში, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დაბალია, ხოლო მისგან გამოწვეული უარყოფითი ეფექტები - საშუალო.

შეიარაღებული დაპირისპირება და ომი - ეს მოვლენები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე და მათი შედეგები, შესაძლოა, შეუქცევადი და კატასტროფული მასშტაბის აღმოჩნდეს. შეიარაღებული კონფლიქტის, ან ომის დადგომის ალბათობა სავარაუდოდ, დაბალია. თუმცა 2022 წელს დაწყებულმა და ჯერ კიდევ მიმდინარე რუსეთი-უკრაინის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ უკრაინის აღმოსავლეთში, შესაძლოა, საომარი მოქმედებების სხვა ქვეყნებზე გავრცელების ალბათობა გაზარდოს. ბუნებრივია, ასეთ რეალობას შეუძლია ბიზნესისთვის გაუთვალისწინებელი და სავალალო შედეგები გამოიწვიოს (ლოგისტიკური მიწოდების ჯაჭვების რღვევა/შეწყვეტა, ეკონომიკური ემბარგო, სანქციები, საომარი მოქმედებები, სხვა).

კვალიფიციური კადრების დეფიციტი - ეს რისკი შეფასებულია როგორც საშუალო ალბათობის, რადგან გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, კვალიფიციური კადრების გადასვლა სხვა კომპანიებში არ გახლავთ იშვიათი მოვლენა, თუმცა მას რეგულარული ხასიათი არ აქვს. კომპანია ამ რისკის დადგომის ეფექტს ადრე უმნიშვნელოდ აფასებდა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი კომპანიის ზრდისა და ახალი ტიპის, სპეციალიზაცირებული პერსონალის მზარდი მოთხოვნის პირობებში, ამ მოვლენას შეუძლია არასასიამოვნო შედეგები მოუტანოს კომპანიას და შეაფერხოს მისი საქმიანობის ზოგიერთი მიმართულება და ამ მიმართულებების სათანადო განვითარება - შესაბამისად, ცხრილში (იხ. ცხრილი 1) რისკი შეფასებულია როგორც საშუალო ეფექტის მქონე. ამ რისკის შერბილების საშუალებებია: კადრების წახალისება, მათი საქმიანობის სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რეგულარული პროფესიული გადამზადება და მათთვის კარგი შრომითი პირობების შექმნა-უზრუნველყოფა.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ „ჯი თი გრუპს“ მრავალფეროვანი და მრავალგვარი კავშირები აქვს თავის საზღვარგარეთ არსებულ მომწოდებლებთან, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე და მის პოზიციაზე შიდა ბაზარზე. კომპანია, ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობას საშუალოდ აფასებს, ხოლო მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად, საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება (ინფლაცია, ჭარბი წარმოება, საწარმოო პროცესის შეფერხება, გაფიცვები, სამოქალაქო არეულობები, სხვა), სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია. ამავ დროს, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემური პროცესები, შესაძლოა, პრობლემის ნაცვლად, ახალ შესაძლებლობად გადაიქცნენ.

კიბერუსაფრთხოება - ბოლო წლებში კომპანია სულ უფრო მეტ დროსა და ენერგიას უთმობს კომპანიის კომპიუტერული ქსელისა და ტექნოლოგიების უსაფრთხოებას. კომპანია თვლის, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებული რისკები და მათი დადგომის ალბათობა (კიბერშეტევა, ქსელში არასანქცირებული შეღწევა, მგრძნობიარე ფინანსურ და კომერციულ ინფორმაციაზე უნებართვო წვდომა, სხვა) გაზრდილია და კომპანია მას აფასებს როგორც „მაღალი“ ალბათობის რისკს. ამავ დროს, კომპანია თვლის რომ ჯერ-ჯერობით ამ რისკის მიერ გამოწვეული შედეგები მცირეა, თუმცა - დიდად ყურადსაღები. კიბერუსაფრთხოების საკითხებისადმი „ჯი თი გრუპის“ სერიოზული დამოკიდებულება გამოიხატულია საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე კვალიფიციურ IT-კომპანიასთან დადებული მომსახურების კონტრაქტით.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობა (ფლუქტუაცია) - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, რადგან იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, როგორც „ჯი თი გრუპი“ გახლავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კომპანია, როგორც წესი, ვაჭრობისა და სასერვისო მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს, ხოლო ანგარიშსწორებას, საიმპორტო პროდუქციასა და სერვისებზე, უცხოური ვალუტით ახდენს. „ჯი თი გრუპი“, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმისა და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობების, ფასების წარმოქმნისა და ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია იმპორტისა და სადისტრიბუციო ოპერაციებისთვის.

დირექტორი

თემურ უსტიაშვილი

თბილისი, 2024 წელი

კვალიფიციური კადრების დეფიციტი - ეს რისკი შეფასებულია როგორც საშუალო ალბათობის, რადგან გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, კვალიფიციური კადრების გადასვლა სხვა კომპანიებში არ განლავთ იშვიათი მოვლენა, თუმცა მას რეგულარული ხასიათი არ აქვს. კომპანია ამ რისკის დადგომის ეფექტს ადრე უმნიშვნელოდ აფასებდა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი კომპანიის ზრდისა და ახალი ტიპის, სპეციალიზაცირებული პერსონალის მზარდი მოთხოვნის პირობებში, ამ მოვლენას შეუძლია არასასიამოვნო შედეგები მოუტანოს კომპანიას და შეაფერხოს მისი საქმიანობის ზოგიერთი მიმართულება და ამ მიმართულებების სათანადო განვითარება - შესაბამისად, ცხრილში (იხ. ცხრილი 1) რისკი შეფასებულია როგორც საშუალო ეფექტის მქონე. ამ რისკის შერბილების საშუალებებია: კადრების წახალისება, მათი საქმიანობის სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რეგულარული პროფესიული გადამზადება და მათთვის კარგი შრომითი პირობების შექმნა-უზრუნველყოფა.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ „ჯი თი გრუპს“ მრავალფეროვანი და მრავალგვარი კავშირები აქვს თავის საზღვარგარეთ არსებულ მომწოდებლებთან, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე და მის პოზიციაზე შიდა ბაზარზე. კომპანია, ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობას საშუალოდ აფასებს, ხოლო მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად, საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება (ინფლაცია, ჭარბი წარმოება, საწარმოო პროცესის შეფერხება, გაფიცვები, სამოქალაქო არეულობები, სხვა), სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია. ამავ დროს, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემური პროცესები, შესაძლოა, პრობლემის ნაცვლად, ახალ შესაძლებლობად გადაიქცნენ.

კიბერუსაფრთხოება - ბოლო წლებში კომპანია სულ უფრო მეტ დროსა და ენერგიას უთმობს კომპანიის კომპიუტერული ქსელისა და ტექნოლოგიების უსაფრთხოებას. კომპანია თვლის, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებული რისკები და მათი დადგომის ალბათობა (კიბერშეტევა, ქსელში არასანქცირებული შეღწევა, მგრძნობიარე ფინანსურ და კომერციულ ინფორმაციაზე უნებართვო წვდომა, სხვა) გაზრდილია და კომპანია მას აფასებს როგორც „მაღალი“ ალბათობის რისკს. ამავ დროს, კომპანია თვლის რომ ჯერ-ჯერობით ამ რისკის მიერ გამოწვეული შედეგები მცირეა, თუმცა - დიდად ყურადსაღები. კიბერუსაფრთხოების საკითხებისადმი „ჯი თი გრუპის“ სერიოზული დამოკიდებულება გამოიხატულია საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე კვალიფიციურ IT-კომპანიასთან დადებული მომსახურების კონტრაქტით.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვალებადობა (ფლუქტუაცია) - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, რადგან იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის, როგორც „ჯი თი გრუპი“ გახლავთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კომპანია, როგორც წესი, ვაჭრობისა და სასერვისო მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს, ხოლო ანგარიშსწორებას, საიმპორტო პროდუქციასა და სერვისებზე, უცხოური ვალუტით ახდენს. „ჯი თი გრუპი“, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო“ სიმძიმისას და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობების, ფასების წარმოქმნისა და ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია იმპორტისა და სადისტრიბუციო ოპერაციებისთვის.

დირექტორი

თემურ უსტიაშვილი



თბილისი, 2024 წელი